სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/220

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2023 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №01-05-04/390 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და მე-17[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის, დავით თავხელიძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №01-05-04/390 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) და წევრთა არჩევის წესი, კრიტერიუმები და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები) და დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ (პრეზიდენტი) შეიძლება არჩეული იქნეს აკადემიურ წრეებში ცნობილი, მაღალი რეპუტაციის მქონე მეცნიერი/მკვლევარი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 და ორგანიზაციული მართვის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.“.

2. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**